



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №01

კოდიფიცირებული

ქ. ბათუმი

07 ნოემბერი, 2018 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სტიპენდიების  
დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, „ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N01 გადაწყვეტილების, „2018-2019 სასწავლო წლიდან ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 აგვისტოს №104 ბრძანების, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს და იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებების ცნობის შესახებ ამ ფაკულტეტების საბჭოების 2018 წლის 24 სექტემბრის საოქმო გადაწყვეტილებების და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის თანდართული წესი (დანართი 1).
2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი: „ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 29 სექტემბრის №04 გადაწყვეტილება და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის და ხუსეინ ნაკაიძის სახელობით საუნივერსიტეტო სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3 გადაწყვეტილება.
3. 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სახელობითი სტიპენდიების მოსაპოვებელი კონკურსები გამოცხადდეს წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“ და „სტუდენტის გზამკვლევი“).

5. წინამდებარე გადაწყვეტილება სტუდენტთათვის საჯარო გამოცხადების მიზნით გავრცელდეს სტუდენტური პორტალისა და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.
6. გადაწყვეტილება დაეზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
7. გადაწყვეტილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,  
პროფესორი

დავით ბარათაშვილი

**„დამტკიცებულია“** ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს  
2018 წლის 07 ნოემბრის N01 გადაწყვეტილებით

*(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს  
2019 წლის 01 ოქტომბრის N07-01/32 გადაწყვეტილებით)*

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი**

**თავი I  
ძირითადი დებულებანი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. წინამდებარე წესი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“ ან „უნივერსიტეტი“) სტუდენტებისათვის ბსუ-ს სტიპენდიების (შემდეგში „სტიპენდია“) დანიშვნისა და გაცემის პროცედურებს.
2. **სტიპენდიები ენიშნებათ ბსუ-ს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს** (შემდეგში „სტიპენდიანტი“):
  - ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები (არანაკლებ 240 კრედიტიანი - 8 სემესტრის განმავლობაში);
  - ბ) სამედიცინო და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები (მედიცინის 360 კრედიტიანი პროგრამა - 12 სემესტრის განმავლობაში, ხოლო სტომატოლოგიის 300 კრედიტიანი პროგრამა - 10 სემესტრის განმავლობაში);
  - გ) დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (300 კრედიტიანი - 10 სემესტრის განმავლობაში);
  - დ) სამაგისტრო პროგრამები (120 კრედიტი - 4 სემესტრის განმავლობაში).
3. ბსუ-ს სტუდენტებს ამ წესით დადგენილი პირობებით შესაძლებელია დაენიშნოთ შემდეგი სახის სტიპენდია:
  - ა) **„პირველსემესტრელის სტიპენდია“** (ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით) - ენიშნება პირველი სასწავლო წლის პირველი სემესტრის იმ სტუდენტს, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხება აბიტურიენტის განაცხადში (სარეგისტრაციო ანკეტაში) მის მიერ პირველ ნომრად მითითებულ, **წინამდებარე წესის მე-2 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ბსუ-ს რომელიმე პროგრამაზე** და ამასთან, ერთიანი ეროვნული გამოცდებიდან მეოთხე (დამატებით) გამოცდაზე მიღებული აქვს ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთა შორის ყველაზე მაღალი (სკალირებული) ქულა;
  - ბ) **„ჩვეულებრივი სტიპენდია კარგოსნისათვის“** (ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით) - ენიშნება **წინამდებარე წესის მე-2 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტებს,**

რომლებსაც სწავლის პერიოდში, შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ფარგლებში, ყოველ სასწავლო კურსში (როგორც ძირითად ან/და დამატებით, ისე საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებულ სასწავლო კურსში) მიღებული აქვთ შეფასება არანაკლებ „ძალიან კარგი“-სა. აღნიშნული სტიპენდია შესაძლებელია დაენიშნოს ბსუ-ს მე-3 სემესტრიდან. დამამთავრებელი სემესტრის შეფასებების გათვალისწინებით სტიპენდიის დანიშვნა არ ხორციელდება;

გ) „ჩვეულებრივი სტიპენდია ფრიადოსნისათვის“ (ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით) - ენიშნება წინამდებარე წესის მე-2 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტებს, რომლებსაც სწავლის პერიოდში, შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ფარგლებში, წინა სემესტრში, პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კურსში (როგორც ძირითად ან/და დამატებით, ისე საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებულ სასწავლო კურსში) მიღებული აქვს შეფასება „ფრიადი“. აღნიშნული სტიპენდია ბსუ-ს სტუდენტს ენიშნება სწავლების მე-2 სემესტრიდან. დამამთავრებელი სემესტრის შეფასებების გათვალისწინებით სტიპენდიის დანიშვნა არ ხორციელდება;

დ) „საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდია“ - ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით, რომლის დასახელება განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით, ენიშნება ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებულ კანდიდატებს (სწავლების მეორე წლიდან - მესამე სემესტრიდან, წინამდებარე წესის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტებს, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად ან/და დამატებით, ისე საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებულ სასწავლო კურსში), „საშუალო შეწონილი“ ფორმულით მიღებული აქვთ 91 ქულა და მეტი და რომლებიც გამოირჩევიან აქტიური სამეცნიერო საქმიანობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები. საშუალო შეწონილის გამოთვლის ფორმულა;

$$\frac{A^1 \times B^1 + A^2 \times B^2 \dots}{A^1 + A^2 \dots}$$

A- საგნის კრედიტი, B - შეფასების ქულა;

*(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 ოქტომბრის N07-01\32 გადაწყვეტილებით)*

ე) „საუნივერსიტეტო სახელობითი სტიპენდია“, ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით, რომლის დასახელება განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით, ენიშნება ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებულ კანდიდატს (სწავლების მეორე წლიდან - მესამე სემესტრიდან, წინამდებარე წესის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტებს, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად ან/და დამატებით, ისე საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებულ სასწავლო კურსში), „საშუალო შეწონილი“ ფორმულით მიღებული აქვთ 91 ქულა და მეტი და რომლებიც გამოირჩევიან აქტიური სამეცნიერო საქმიანობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო

კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები. საშუალო შეწონილის გამოთვლის ფორმულა;

$$\frac{A^1 \times B^1 + A^2 \times B^2 \dots}{A^1 + A^2 \dots}$$

A- საგნის კრედიტი, B - შეფასების ქულა;

*(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 ოქტომბრის N07-01\32 გადაწყვეტილებით)*

4. დამამთავრებელი სემესტრის შეფასებების გათვალისწინებით სახელობითი სტიპენდიის (საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო) დანიშვნა არ ხორციელდება.
5. **სტიპენდიები თითოეულ სემესტრში გაიცემა ერთჯერადად**, სტიპენდიის გაცემის თაობაზე სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს **10 სამუშაო დღისა**.
  - ა) „პირველსემესტრელის სტიპენდია“ - ბსუ-ში ჩარიცხვის წლის 1 ოქტომბრიდან მომდევნო წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდის გათვალისწინებით (ხუთი თვის);
  - ბ) „ჩვეულებრივი სტიპენდია ფრიადოსნისათვის“, „ჩვეულებრივი სტიპენდია კარგოსნისათვის“, „საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდია“ - ექვსი თვის (შემოდგომის სემესტრისათვის - სექტემბრიდან მომდევნო წლის თებერვლის ჩათვლით, ხოლო გაზაფხულის სემესტრისათვის - მარტიდან აგვისტოს ჩათვლით პერიოდისათვის);
  - გ) „საუნივერსიტეტო სახელობითი სტიპენდია“ - ხუთი თვის (შემოდგომის სემესტრისათვის - ოქტომბრიდან მომდევნო წლის თებერვლის ჩათვლით, ხოლო გაზაფხულის სემესტრისათვის - მარტიდან ივლისის ჩათვლით პერიოდისათვის).
6. ბსუ-ს თითოეულ ფაკულტეტზე პირველსემესტრელ სტიპენდიანტთა რაოდენობას ბსუ-ს რექტორთან შეთანხმებით განსაზღვრავს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი შემდეგი პრინციპით - ფაკულტეტის ყოველ 250 სტუდენტზე - ერთი პირველსემესტრელი სტიპენდიანტი.
7. **ბსუ-ს სტიპენდიები არ ენიშნებათ:**
  - ა) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეჩერებულ/სტატუსშეწყვეტილ პირს;
  - ბ) აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს (გარდა იმ სტუდენტისა, რომელსაც ბსუ-ს გაცვლითი პროგრამაში მონაწილეობის გამო, დადგენილ ვადაში ასათვისებელი აქვს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები);
  - გ) სტუდენტს, რომელსაც შესრულებული აქვს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები და მიენიჭა შესაბამისი აკადემიური ხარისხი;
  - დ) დამატებითი სასწავლო სემესტრის (ვადაგაგრძელებულ) სტუდენტს.
8. სტუდენტს ერთდროულად ორი სახის ბსუ-ს სტიპენდია არ ენიშნება. თუკი სტუდენტს დანიშნული აქვს ბსუ-ს რომელიმე სახის სტიპენდია, მასზე გაიცემა იმ სახის სტიპენდია, რომელსაც თავად განსაზღვრავს (წერილობითი განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს სტიპენდიის დანიშვნის აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს **2 სამუშაო დღისა**). *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 ოქტომბრის N07-01\32 გადაწყვეტილებით)*



**თავი II**  
**ჩვეულებრივი სტიპენდიებისა და პირველესემესტრელის სტიპენდიის**  
**დანიშვნა და გაცემა**

**მუხლი 2. სტიპენდიების დანიშვნა და გაცემა**

1. ჩვეულებრივი სტიპენდიებისა და პირველესემესტრელის სტიპენდიების დანიშვნის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის საფუძველია სასწავლო სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, ფაკულტეტების დეკანების სამსახურებრივი ბარათები ამ წესით გათვალისწინებული სტიპენდიანტების კანდიდატების შესახებ. აღნიშნული ბარათი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

**ა) პირველესემესტრელი სტიპენდიანტების შემთხვევაში** - კანდიდატების სახელი, გვარი, პირადი ნომერი; გაფორმებული ხელშეკრულების ნომერი, ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი; შესაბამისი წლის ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე და მეოთხე (დამატებით) გამოცდაზე მიღებული მის მიერ მიღებული სკალირებული ქულა; ბსუ-ში სტუდენტის სტატუსის (აკადემიური/ადმინისტრაციული რეგისტრაციის) შესახებ;

**ბ) ჩვეულებრივი სტიპენდიანტების შემთხვევაში** - კანდიდატების სახელი, გვარი, პირადი ნომერი; გაფორმებული ხელშეკრულების ნომერი, ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი; ბსუ-ში სტუდენტის სტატუსის (აკადემიური/ადმინისტრაციული რეგისტრაციის) შესახებ; სწავლების საფეხური და საგანმანათლებლო პროგრამა; სწავლების წელი/სემესტრი; შესაბამისი სტიპენდიის დანიშვნისათვის წინამდებარე წესით განსაზღვრული აკადემიური მოსწრების შესახებ.

2. დეკანის სამსახურებრივი ბარათი ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში ვიზირებული უნდა იქნეს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურის და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ, მათი კომპეტენციის ფარგლებში.

3. ამ მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათი ბსუ-ს რექტორის ბრძანების სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადების მიზნით გადაეცემა ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტს. მომზადებული ბრძანება უნდა შეთანხმდეს ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტთან.

4. ბსუ-ს რექტორის სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა გამოიცემა **ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება** ბსუ-ს სტუდენტთათვის შესაბამისი სტიპენდიის გაცემის თაობაზე. ბრძანებას ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტი ამზადებს ამ წესში აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებთან შეთანხმებით (გამოცემული ბრძანება ეცნობება შესაბამის სტუდენტს, ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე).

**თავი III**

**სახელობითი სტიპენდიის (საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო) დანიშვნა და გაცემა**

**მუხლი 3. სახელობითი სტიპენდიის (საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო)**  
**მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია**

1. სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 45 დღის ვადაში საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიანტების (შემდეგში „სტიპენდიანტების“)

შესარჩევი კონკურსი ცხადდება რექტორის ბრძანებით და შესაბამის განცხადებასთან ერთად ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე და ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე, კონკურსანტთა განცხადებების მიღების დაწყებამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე.

2. საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სახელობითი სტიპენდიების მოსაპოვებელი კონკურსი ცხადდება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით თითოეული ფაკულტეტისათვის დაწესებული სახელობითი სტიპენდიების და საუნივერსიტეტო სტიპენდიების შესაბამისად.

3. ფაკულტეტზე ერთზე მეტი სახელობითი სტიპენდიის არსებობის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს კონკურსის ჩატარების მიზანშეწონილობა ცალკეულად, უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი და მეორე საფეხურის სტუდენტებისათვის. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი ბსუ-ს რექტორს კონკურსის გამოცხადებამდე წარუდგენს სამსახურებრივ ბარათს და ფაკულტეტის საბჭოს ოქმის ამონაწერს.

4. საკონკურსო განცხადებების მიღების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით, ხოლო კონკურსი უნდა ჩატარდეს კონკურსის გამოცხადების აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა (რეკომენდებულია კონკურსი ჩატარდეს და შედეგები განისაზღვროს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერების აქტის გამოცემამდე).

5. კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სტუდენტის განაცხადისა და საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა და ადგილი;

ბ) წარმოსადგენი საკონკურსო დოკუმენტაციის ნუსხა;

გ) კონკურსის პირობები (შესარჩევ კრიტერიუმებს, რაც დადგენილია წინამდებარე წესის პირველი მუხლით);

დ) კონკურსის საბოლოო შედეგების გამოქვეყნების ვადა.

6. ბსუ-ს სტუდენტი უფლებამოსილია წარმოადგინოს განცხადება საუნივერსიტეტო ან/და საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად. *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 ოქტომბრის N07-01\32 გადაწყვეტილებით)*

#### **მუხლი 4. საკონკურსო განცხადების და დოკუმენტაციის წარდგენის წესი**

1. კონკურსანტის მიერ საკონკურსო განაცხადი და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთ ეგზემპლარად, სადაც პრიორიტეტისა და რიგითობის მიხედვით მითითებული უნდა იყოს ის საუნივერსიტეტო ან საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდია/სტიპენდიები, რომლის მოპოვებაც სურს სტუდენტს. *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 ოქტომბრის N07-01\32 გადაწყვეტილებით)*

2. საკონკურსო დოკუმენტაცია (წინამდებარე წესის დანართი 1-ით გათვალისწინებული ნუსხა) უნდა მოიცავდეს:

ა) სტუდენტის განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (წინამდებარე წესის დანართი 2-ის შესაბამისად შედგენილი);

ბ) სტუდენტის ავტობიოგრაფია (CV) (წინამდებარე წესის დანართი 3-ის შესაბამისად შედგენილი);

გ) სტუდენტის პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ცნობა სტუდენტის სტატუსისა და აკადემიური მოსწრების შესახებ (სასწავლო

ბარათის დამოწმებული ასლი);

ე) არანაკლებ ერთი რეკომენდაცია ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირისაგან (რომელიც კარგად იცნობს სტუდენტის აკადემიურ აქტივობას);

ვ) სტუდენტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის/პულიკაციის დედანი ან დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) სამეცნიერო ღონისძიებაში (კონფერენცია, სემინარი, სიმპოზიუმი და სხვ.) მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომის, სიგელის, სერტიფიკატის და სხვ. დედანს ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. სტუდენტის საკონკურსო განცხადების (დოკუმენტაციის) მიღებასა და რეგისტრაციას (მიღების თარიღის, დროის და საკონკურსო დოკუმენტაციის ფურცლების რაოდენობის მითითებით) აწარმოებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტი.

4. განაცხადი (საკონკურსო დოკუმენტაცია) ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტის მიერ მიიღება მხოლოდ კონკურსის გამოცხადების შესახებ აქტით განსაზღვრულ ვადაში, რომლის დასრულების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტით მიღებულ დოკუმენტაციას გადასცემს საკონკურსო კომისიას.

5. კონკურსსანტს უფლება აქვს განაცხადების (საკონკურსო დოკუმენტაციის) მიღების ვადის დასრულებამდე წარმოადგინოს მის მიერ უკვე წარმოდგენილ განაცხადში (საკონკურსო დოკუმენტაციაში) ცვლილებების/დამატებების შეტანის თაობაზე განცხადება (ასეთ შემთხვევაში, დოკუმენტების მიღების სარეგისტრაციო ჟურნალში გაკეთდება შესაბამისი ჩანაწერი).

## **მუხლი 5. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი**

1. ბსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება სტიპენდიანტთა შესარჩევი საკონკურსო კომისია. კომისიას თავმჯდომარეობს რექტორის მოადგილე (სასწავლო პროცესის მიმართულებით).

2. კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც აირჩევა ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით, კომისიის პირველივე სხდომაზე. კომისიის მდივანი აირჩევა იმავე წესით პირველივე სხდომაზე.

3. კომისიის სხდომები დახურულია. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

4. კომისიის ყოველ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კენჭისყრის შედეგად ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისიის სხდომა იმართება გამოცხადებული კონკურსის ვადების შესაბამისად. გადაწყვეტილებას კომისიის სხდომის მოწვევის შესახებ იღებს კომისიის თავმჯდომარე. საჭიროების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს მოიწვიოს კომისიის რიგგარეშე სხდომა.

### **6. საკონკურსო კომისია:**

ა) პირველივე სხდომაზე ისმენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტის მოხსენებას შემოსული საკონკურსო განცხადებებისა და დოკუმენტაციის შესახებ და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იბარებს მათ;

ბ) პირველ ეტაპზე ამოწმებს წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის სისრულეს, მათ ფორმალურ და შინაარსობრივ შესაბამისობას წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებთან;



გ) პირველ ეტაპზე დოკუმენტაციის შემოწმების დასრულების შემდგომ ადგენს იმ კონკურსანტების სიას, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაცია არ ექვემდებარება განხილვას ამ წესის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე (საოქმო გადაწყვეტილების შესახებ სამსახურებრივი ბარათით ეცნობება ბსუ-ს რექტორს და ინფორმაცია კონკურსიდან მოხსნილი პირების შესახებ განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე);

დ) კონკურსის გამოცხადების შესახებ სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში კომისიის სხდომაზე განიხილავს საკონკურსო დოკუმენტაციებს და მიღებულ გადაწყვეტილებას - კონკურსის შედეგებს თითოეული ფაკულტეტის მიხედვით წარუდგენს ბსუ-ს რექტორს (ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პირების შესახებ განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე);

ე) უფლებამოსილია ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულებიდან ან/და სხვა დაწესებულებიდან გამოითხოვოს კონკურსანტის შესახებ ზეპირი ან წერილობითი ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია წინამდებარე წესით გადაწყვეტილების მიღებასთან;

ვ) თითოეულ სხდომაზე ადგენს სხდომის ოქმს, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი;

ზ) თითოეული ფაკულტეტის სახელობითი სტიპენდიანტის გამოსავლენად ჩატარებული კონკურსის შედეგად ღია კენჭისყრით, სიითი უმრავლესობით, ცალკეულად თითოეული ფაკულტეტისათვის და ცალკე საუნივერსიტეტო სახელობითი სტიპენდიანტის გამოსავლენად იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებული კონკურსანტების თაობაზე და წარუდგენს ბსუ-ს რექტორს.

**7. საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება (კონკურსანტი არ შეფასდება და მოიხსება კონკურსიდან) შემდეგ შემთხვევებში:**

ა) თუკი კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია;

ბ) თუკი კონკურსანტის წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის შესაბამისი ფორმის დაცვით შედგენილი (ხელმოწერა, ბეჭედი, ნოტარიული დამოწმება და ა.შ.) ან არ შეესაბამება სინამდვილეს, რაც დასტურდება ბსუ-ში არსებული შესაბამისი მტკიცებულებებით;

გ) კონკურსანტს შეჩერებული/შეწყვეტილი აქვს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი;

დ) კონკურსანტი აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტია ან შესრულებული აქვს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნები.

## **მუხლი 6. სახელობითი სტიპენდიის დანიშვნა და გაცემა**

1. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა გამოიცემა რექტორის ბრძანება ბსუ-ს სტუდენტთათვის სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე (ბრძანება ეცნობება შესაბამის სტუდენტს, ფაკულტეტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე).

2. ბსუ-ს რექტორის სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა გამოიცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება ბსუ-ს სტუდენტთათვის სახელობითი სტიპენდიის გაცემის თაობაზე. ბრძანებას ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტი ამზადებს ამ წესში აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებთან შეთანხმებით (გამოცემული ბრძანება ეცნობება შესაბამის სტუდენტს, ფაკულტეტს,

საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე).

3. ბსუ-ს რექტორმა, შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა გამოსცეს ბრძანება სტიპენდიის დანიშვნის აქტის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე, თუკი გამოვლინდა, რომ სტიპენდიანტი ვარ აკმაყოფილებდა სტიპენდიის დანიშვნისათვის ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

#### თავი IV

### სტიპენდიის გაცემის შეწყვეტა

#### მუხლი 7. სტიპენდიების გაცემის შეწყვეტა

1. სტიპენდია არ გაიცემა:

ა) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეჩერებულ/სტატუსშეწყვეტილ პირზე;

ბ) დამატებითი სასწავლო სემესტრის (ვადაგაგრძელებულ) სტუდენტზე;

გ) თუ გამოვლინდა გარემოება, რომელიც გამორიცხავს სტიპენდიის დანიშვნის ან/და გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტის სამართლებრივ საფუძვლებს.

2. სტიპენდიანტი ვალდებულია საკუთარი ინიციატივით წარმოადგინოს შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რაც ეწინააღმდეგება სტიპენდიის დანიშვნის ან/და გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტის საფუძვლებს. იგი ასევე ვალდებულია, ფაკულტეტის ადმინისტრაციის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს ასეთი სახის ინფორმაციის/დოკუმენტის წარმოდგენა.

3. სტუდენტის აკადემიური მოსწრების/სტუდენტის სტატუსის შესახებ წარდგენილ (ასევე შემდეგში დამატებით წარმოსადგენ) მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია შესაბამისი ფაკულტეტის და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილების უფლებამოსილი დასაქმებული.

4. სტიპენდიანტის, ფაკულტეტის, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ან ბსუ-ს სხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას სტიპენდიანტისათვის სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე აქტის ძალადაკარგულად/ბათილად ცნობის შესახებ, თუ აღმოჩნდება, რომ სტიპენდიის დანიშვნის შესახებ რექტორის აქტის მომზადება-გამოცემის დროისათვის ან/და დანიშვნის შემდეგ პერიოდში, სტუდენტი ვერ აკმაყოფილებდა ამ წესით გათვალისწინებული სტიპენდიის დანიშვნისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. წინამდებარე წესის მოთხოვნათა დარღვევით სტიპენდიის დანიშვნის/გაცემის შემთხვევაში, გაცემული თანხის დაბრუნების შესახებ სამართლებრივ აქტს გამოსცემს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

ბსუ-ს სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის

N1 დანართი

სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად წარმოსადგენი საკონკურსო დოკუმენტაციის ნუსხა

	საკონკურსო დოკუმენტები	ეგზემპლართა რაოდენობა	დოკუმენტის ნოტარიული დამოწმება
1	სტუდენტის ავტობიოგრაფია (CV);	1	არ არის სავალდებულო
2	სამეცნიერო კონფერენციის, სემინარის, სიმპოზიუმის და სხვ. ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომ(ებ)ის, სიგელ(ებ)ის, სექტიფიკატ(ებ)ის და სხვ. ასლ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	1	სავალდებულოა
3	პირადობის მოწმობის ასლი	1	არ არის სავალდებულო
4	ცნობა სტუდენტის სტატუსის და აკადემიური მოსწრების შესახებ	1	არ არის სავალდებულო
5	გამოქვეყნებული ნაშრომ(ებ)ის/პუბლიკაციების ასლები (გამოქვეყნების ადგილის მონაცემების მითითებით)	1	არ არის სავალდებულო
6	სარეკომენდაციო წერილი	1	არ არის სავალდებულო
7	ცნობა აკადემიური მოსწრების შესახებ (სასწავლო ბარათში „სამუშალო შეწონილი“ ფურცულით მიღებული „ქულების“ მითითებით)	1	არ არის სავალდებულო

**შენიშვნა:** მე-2 და მე-5 გრაფაში აღნიშნული დოკუმენტების დამოწმება შესაძლებელია შესაბამისი საუნივერსიტეტო სტრუქტურული ერთეულის მიერ, თუკი სამეცნიერო კონფერენცია ღონისძიება ჩატარდა ბსუ-ში, ხოლო დოკუმენტის დედნის წარმოდგენის შემთხვევაში, არ არის სავალდებულო მისი ნოტარიულად დამოწმება (კონკურსის დასრულებისა და რექტორის სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ, სტუდენტს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში დაუბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტების დედნები).

**ბსუ-ს სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის  
N2 დანართი**

**ბსუ-ს სტუდენტის განცხადება სახელობითი სტიპენდიის მოპოვების მიზნით  
კონკურსში მონაწილეობის შესახებ**

1.	სახელი, გვარი, პირადი ნომერი	
2.	ფაკულტეტი	
3.	სწავლების საფეხური	
4.	მიმდინარე სასწავლო წელი (კურსი)	

**გავეცანი და ვეთანხმები** ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესს, მსურს მონაწილეობა მივიღო -----

-----სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში და გთხოვთ, მიიღოთ ჩემი განცხადება და შემდეგი საკონკურსო დოკუმენტაცია:

- 1) პირადობის მოწმობის ასლი;
- 2) ცნობა სტუდენტის სტატუსის/აკადემიური მოსწრების შესახებ (სასწავლო ბარათი „საშუალო შეწონილი“ ფორმულით მიღებული ქულებით);
- 3) სტუდენტის ავტობიოგრაფია (CV);
- 4) გამოქვეყნებული ნაშრომების/პუბლიკაციის ასლები ---- ფურცელი;
- 5) სარეკომენდაციო წერილი;
- 6) სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომი, სიგელი, სერტიფიკატი და სხვ. Dდედანი / ნოტარიულად დამოწმებულ ასლი ----- ფურცელი; (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ/არასწორ მონაცემებს. ამასთანავე, **თანხმობას ვაცხადებ:** ა) ბსუ-მ დაამუშაოს

ჩემი პერსონალური მონაცემები გამოცხადებული კონკურსისა და კონკურსის ჩატარების წესის მოთხოვნათა აღსრულების მიზნით; ბ) ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე/ნამდვილობა; გ) შევასრულო **ბსუ-ს** სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის მოთხოვნები.

ხელმოწერა:  
თარიღი:

----- განმცხადებლის

**ბსუ-ს სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის  
N 3 დანართი**

**კონკურსანტის ავტობიოგრაფიის (CV) ნიმუში**

1.	სახელი, გვარი, პირადი ნომერი	
2.	დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
3.	ფაკულტეტი	
4.	ბსუ-ში ჩარიცხვის წელი	
5.	ფსწავლების საფეხური,	
6.	სპეციალობა/საგანმანათლებლო პროგრამა:	
7.	მიმდინარე სასწავლო წელი (კურსი)	
8.	ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი/ რეგისტრაციის ადგილი (მისამართი):	
9.	ტელეფონი და ელექტრონული ფოსტა:	

**10. მიღებული შეფასებები სემესტრების მიხედვით:**

№	სემესტრი	სასწავლო კურსი	შეფასება	შენიშვნა
1				
2				

**11. პუბლიკაციების რაოდენობა: \_\_\_\_\_, მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო**



ჟურნალში \_\_\_\_\_, \_\_\_\_\_ (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში).

12. პუბლიკაციების ჩამონათვალი:

№	პუბლიკაციის დასახელება	გამომცემლობა და გამოცემის წელი	პუბლიკაციის სახე (სტატია და სხვა)	თანაავტორი/ხელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
1				
2				

13. სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა:

№	წელი	ღონისძიების დასახელება	ღონისძიებაზე კონკურსანტის აქტივობა (მოხსენების სათაური და სხვა)	ღონისძიების ჩატარების ადგილი
1				
2				

14. დამატებითი ინფორმაცია სურვილისამებრ: -----

\_\_\_\_\_ ხელმოწერა:

----- კონკურსანტის